ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5000285018

16/01/2018 წ.

5000285018

სს "მეტრა პრაიმი"-ს წარმომადგენელს ქბნ ლიანა მოდებაძეს

(ქ. თბილისი. ზ. საკანდელიძის ქ. #6)

ქალბატონო ლიანა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2018 წლის 8 იანვრის რეგისტრაციის N1000178418) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000319118 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162. ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600. ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი . პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

000319118

ექსპერტის დასკვნა № 000319118

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: სს მეტრა პრაიმი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: ქ. თბილისი. ზ. საკანდელიძის ქ. #6

სახელი და გვარი: ლიანა მოდებაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 9 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდებად შესაძლებელია ქ.თბილისში, ჩახრუხაძის ქ.#25-ში მდებარე შენობაზე გასამაგრებელი გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება და თუ შესაძლებელია გთხოვთ გასცეთ ამ გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელების პროექტი და სამუშაოთა წარმოების მეთოდები და გზები დეტალურად თანმიმდევრობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველა გაუთვალისწინებელი შემთხვევა და რისკები.

შემოსვლის თარიღი: 08.01.2018წ. გასვლის თარიღი: 16.01.2018წ

დასკვნა

ქ.თბილისში ჩახრუხაძის ქ.#25-ში მდებარე შენობის მწვავე ავარიული მდგომარეობის გამო გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებების დაპროექტებისათვის მასში რაიმე სახის კვლევითი სამუშაოების ჩატარება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია და მიგვაჩნია შეუძლებლად. ამასთანავე, მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობიდან და ავარიულობის ხარისხიდან გამომდინარე შენობა არ ექვემდებარება გამაგრება-გაძლიერებას და საჭიროებს დემონტაჟს. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მიგვაჩნია ჩახრუხაძის ქუჩის მხრიდან გამვლელი ადამიანების უსაფრთხოების მიზნით შენობის ფასადის კედელზე მოეწყოს მიდგმითი ხის დროებითი კონსტრუქციები კედლის ნაწილობრივი ჩამოშლისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად. ასევე სასურველია დაწესდეს ჩახრუხაძის ქუჩაზე (ავარიული შენობის მონაკვეთში) საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვა.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ.თბილისში, ჩახრუხაძის ქ.#25-ში მდებარე შენობა გამაგრებითი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით. 2017 წლის ნოემბერში ბიუროს მიერ აღნიშნული შენობა იქნა გამოკვლეული ასევე გამაგრება-გაძლიერების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, რაზედაც გაცემულია შესაბამისი დასკვნა (#006728617). აღნიშნული დასკვნის მიხედვით შენობა იმყოფება მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში, რითაც ჰქმნის უეცარი ჩამონგრევის საშიშროებას. ასევე დასკვნაში მოცემულია რეკომენდაცია შენობის დემონტაჟის თაობაზე არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, რაც გულისხმობს შენობის ნაწილობრივ ან სრულ ჩამონგრევას. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული ვიზუალური კვლევის შედეგებით დადასტურდა წინამდებარე დასკვნით შენობის ავარიული მდგომარეობის შეფასება.

რაც შეეხება გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას, რაც დამკვეთის მიერ შემოტანილი წერილის მიხედვით გულისხმობს შენობის დასავლეთის ფასადის კედლის გამაგრებას, ღიობების მოჩარჩოებასა და ჩამოშლილი გადახურვების გამაგრებას, ამისათვის საჭიროა მიღებული იქნას გამაგრება-გაძლიერების კონსტრუქციული გადაწყვეტები, რაც უნდა დაეფუძნოს შენობის დეტალური კვლევის შედეგებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შენობის მწვავე ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე დეტალური კვლევის ჩატარება, როგორც შენობის გარე კედლებზე, ასევე შენობის შიგნით არსებულ კონსტრუქციებზე სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია და მიგვაჩნია შეუძლებლად. ამასთანავე, შენობის მზიდ კონსტრუქციებზე გამაგრება-გაძლიერების მიზნით მექნიკურმა ზემოქმდებამ შესაძლებელია მოახდინოს მათი კრიტიკული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესებისა და უეცარი ჩამოშლის პროვოცირება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საკვლევი შენობა არ ექვემდებარება გამაგრება-გაძლიერებას და საჭიროებს დემონტაჟს. მიუხედავად ამისა, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მიგვაჩნია ჩახრუხაძის ქუჩის მხრიდან გამვლელი ადამიანების უსაფრთხოების მიზნით შენობის ფასადის კედელზე, რომელსაც აქვს ამ მიმართულებით გადახრის ტენდენცია (ფოტო 1), მოეწყოს მიდგმითი ხის დროებითი კონსტრუქციები კედლის ნაწილობრივი ჩამოშლისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დროებითი კონსტრუქციები საჭიროა მოეწყოს ავარიულ კედელზე ზეწოლისა და დაძაბვის გარეშე. ასევე სასურველია დაწესდეს ჩახრუხაძის ქუჩაზე (ავარიული შენობის მონაკვეთში) საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვა.

ამრიგად, ქ.თბილისში ჩახრუხაძის ქ.#25-ში მდებარე შენობის მწვავე ავარიული მდგომარეობის გამო გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებების დაპროექტებისათვის მასში რაიმე სახის კვლევითი სამუშაოების ჩატარება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია და მიგვაჩნია შეუძლებლად. ამასთანავე, მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობიდან და ავარიულობის ხარისხიდან გამომდინარე შენობა არ ექვემდებარება გამაგრება-გაძლიერებას და საჭიროებს დემონტაჟს. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მიგვაჩნია ჩახრუხაძის ქუჩის მხრიდან გამვლელი ადამიანების უსაფრთხოების მიზნით შენობის ფასადის კედელზე მოეწყოს მიდგმითი ხის დროებითი კონსტრუქციები კედლის ნაწილობრივი ჩამოშლისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად. ასევე სასურველია დაწესდეს ჩახრუხაძის ქუჩაზე (ავარიული შენობის მონაკვეთში) საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვა.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოყენებული მასალები

СП-13-102-2003

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნლების მანძილზე ატიუხად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ლაბორატორიაში ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სადაც აღიჭურვა ბიუროს ლნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სავალიდაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დარეკორდდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ურთიერთ თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.